# ცნობის ფურცელი

**V წ.** ყოველდღიური გამოცემა.—პარასკევი, 21 ივლისი 1900 წ. **№ 1187**

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

კბილის საექიმო კაბინეტი

**ნ. თ. ხორავასი**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე. რაზიეზჟაია, 17, ვორონცოვის ძეგლთან. ნ. 10—7


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**18 ივლისი**

**პეტერბურგი.** ურგიდან ელჩი იტყობინება, რომ ჩინელებმა კალგანში დასწვეს რუსების სახლ-კარობა და ეკკლესია. ქონება ზოგი დასწვეს და ზოგიც მოიტაცეს.

გენერალი გროდეკოვი ბლაგოვეშენსკიდან იუწყება 18 ივლისს: „ღამითზოგიერთი ჯარის-კაცნი თავის სურვილით გადავიდნენ ჩინეთის საზღვარზე და იერიში მიიტანეს თოფების დაუცლელად მტერზედ. ჯარის კაცებმა ჩინელებს წაართვეს ორი მსროლელი ფოლადის ზარბაზანი, რომლებიც ჩვენსკენ გადმოიტანეს. 15 ივლისს გენერალმა რენენკამფმა განდევნა სოფელ მოხოდან ჩინელები და შიგ ჩააყენა პატარა რაზმი, რომ დაიცვას გემების წესიერი მიმოსვლა. 16 ივლისს ბლაგოვეშენსკში მოვიდა პირველი მეშველი ჯარი“.

**ვაშინგტონი.** ამერიკელმა ელჩმა ჩოეტმა შეატყობინა სოლისბიურის, რომ შეერთებულმა შტატებმა გარდასწყვიტეს დაუყოვნებლივ გაილაშქრონ პეკინზე. სოლისბიურიმ უპასუხა, რომ ასეთსავე გადაწყვეტილებას დაადგა ინგლისიცაო.

**ტიანცზინი.** გენერალი გეზლი 15 ივლისს მოვიდა; მოვიდა აგრეთვე ძლიერი მაშველი ჯარი. გალაშქრება დაუყოვნებლივ დაიწყება. რუსეთისა და იაპონიის ჯარმა წინ წაიწია პეიზანამდე.

**ბელგრადი.** რუსეთის იმპერატორმა თანხმობა განაცხადა ირიცხებოდეს მოწმედ სერბიის მეფის ჯვარის წერისა და მიანდო რუსეთის წარმომადგენელს მანსუროვს დაესწროს მათი უდიდებულესობის მაგივრად.

**შანჰაი.** შანდუნის გუბერნატორმა დეპეშით აუწყა აქაურს ინგლისელების უფროსს ელჩს, რომ მისი წერილი გადაეცა მაკდონალდს. მაკდონალდის პასუხი კი გადაეცა ცუნგ-ლი-იამენს ელჩისათვის გასაგზავნად.

**რომი.** მეფე თავის მეუღლით მოვიდა დილით და გაემგზავრა მონცასაკენ, სადაც მივა საღამოზე.

**ბელგრადი.** სერბიის მეფე ალექსანდრე კვირას ჯვარს დაიწერს.

---

## სატახტო გაზეთების დეპეშები

« ლიხუნჩანგს ულაპარაკნია: თუ მანჩჟურიის პარტიამ მართლა ჩაიდინა საშინელი ავკაცობა და ამოჟლიტა უცხოეთის ყველა ელჩები, ლი არავის გულისათვის არ იკისრებს სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას. ლი-ს სიტყვებით, ცზუნ-ლი-იამენმა გადასწყვიტა სთხოვოს დედოფალს ნება-რთვა ელჩებისათვის სურსათის გაგზავნისა და შემდეგ მათი ტიანცზინში გადაყვანის შესახებ. ლი ამბობს, რომ ჩინეთს არ შეუძლიან ფულით უზღოს უცხოელებს ზარალი, ტერრიტორიის დათმობას ხალხი თავის დღეში არ დასთანხმდება,—ამიტომ სახელმწიფოები უნდა დაკმაყოფილდნენ რეფორმების შემოღების დაპირებით და დამნაშავე მოხელეების სამსახურიდან გამოგდებით. ლიხუნჩანგის ერთი კარის კაცის სიტყვით, მისი ბატონი არავის გულისათვის არ წავა პეკინში, თუ დედოფალს ჯერ არ შეუგნია წინანდელი პოლიტიკის უვარგისობა და ახლანდელი მდგომარეობის მოთხოვნილებანი.

« ტოკიოდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 22 ივლისს იაპონელები გადავიდნენ ნაპირზე შანჰაი გვანგთან და დაამარცხეს ჩინელები.

ლონდონიდან: ადმირალმა სეიმურმა, რომელიც თავის ფლოტით ეხლა შანჰაიში იმყოფება, იანციკიანგის ქალაქი უნდა დაიცვას.

იქიდანვე: ლიხუნჩანგი რჩევას იძლევა—გადაიდოს უცხოელ ჯარების პეკინზე გალაშქრება.

იქიდამვე: პეკინის ახლო დაბანაკებულან შემდეგი ჯარები: გენერალ იან-შიკაის ჯარი—9000 კაცი; ეს რაზმი კარგად არის შეიარაღებული და გაწვრთნილი ინგლისელ ინსტრუქტორებისაგან. გენერალ სუნის ჯარი—16000 კაცი, ძალიან კარგად გაწვრთნილი გერმანელ ინსტრუქტორებისაგან; ამ ჯარს აქვს 22 კრუპის და მაქსიმეს ზარბაზანი, მაუზერის სისტემის თოფები. ეს რაზმი დგას ტიანცზინისაკენ მიმავალ გზაზე. მესამე ჯარი შესდგება 10,000 კაცისაგან, მაგრამ იგი სრულებით გაუწვრთნელია. პეკინში დიდი იმედი აქვთ ნანკინის კარგად შეიარაღებული ჯარებისა. სულ პეკინში 150,000 ჯარის კაცია, აქედან 30,000 კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილია.

« რადგანაც შანჰაიში შიშიანობის მოლოდინია, ბევრი ევროპიელი სტოვებს ქალაქს და მიდის ჩიფუში, სადაც დიდძალი უცხოელებია ეხლა. შანჰაის მიდამოებში მღელვარება მატულობს; ჩინური გაზეთები გულახდილად და გაბედვით სწერენ ევროპიელების წინააღმდეგ. ბევრმა უცხოელმა ნანკინსაც თავი დაანება და შანჰაის გზით ჩიფუში წავიდა. ვაჭრობა თითქმის სრულებით შეჩერდა.

« იაპონიის მაშველი ჯარები განაწილდნენ ასე: 12 ათასი ტიანცზინში მივიდა და 13 ათასი დაბანაკდა ტაკუში, ჩიფუში და შანჰაიგუანში.

« 18 ივლისს ტაკუში მოელოდნენ ახლად დანიშნულ იაპონელ სარდალს მარშალ იიამას.

« შანჰაიდან იტყობინებიან: ერთ ლონდონელ გაზეთის კორრესპონდენტმა იპოვა შანჰაიში, როგორც იქმნა, ერთი ჩინელი, რომელიც მზად იყო წასულიყო ჩინეთში იმ პირობით, რომ, თუ იგი პეკინში მივა და იქიდან ნამდვილ ამბებს მოიტანს, მიიღებს 25,000 მანეთს. მეორე დღეს ჩინელმა გამოაცხადა, რომ იგი მარტო ვერ წავა, და თხოულობდა მცველს. ლიხუნჩანგმა და შენგმა ვერ მისცეს ამ ჩინელს პეკინში წასასვლელი მოწმობა. ესენი ამბობენ, რომ ელჩები ცოცხლები არიან, მაგრამ მათთან გაგზავნილ ჩინელს «მოკრივენი» მოჰკლავენო.

« ტიანცზინში მყოფ იაპონიის ჯარებზე სწერენ: ტიანცზინის აღების შემდეგ იაპონელები შეუდგნენ სამხედრო დისციპლინის ჩამოგდებას. ქალაქში დარჩენილმა ჩინელებმა ამართეს ბაირაღი შემდეგის წარწერით: «დიდი იაპონიის მორჩილნი და მშვიდობიანი ქვეშევრდომნი.» თუ რამდენათ კმაყოფილი დარჩენ ჩინელე-

ბი იაპონელ ჯარის სასტიკი დისციპლინით, ეს იქიდან სჩანს, რომ მათ საზუქრები (ჩაი, ხილი და სხვა) მოჰქონდათ იაპონელ ჯარის კაცებთან. ჩინელები თან და თან მეტის ნდობით ექცევიან იაპონელებს. სამხედრო ოკუპაციისათვის ქალაქი ოთხ-ნაწილად არის გაყოფილი: დასავლეთ კარებიდან სამხრეთ კარებამდე—ანგლიის ჯარი სდგას, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში—ფრანგები, აღმოსავლეთ ჩრდილოეთ ნაწილში—იაპონელები; ამერიკელების ხელშია—სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. რუსეთს უჭირავს მდ. პეიხოს მარცხენა ნაწილი.

ტიანძინის სამხედრო მმართველობა საერთაშორისო კომიტეტის ხელშია; კომიტეტი შესდგება ჯარების უფროსებისაგან. შეერთებულ ჯარების აფიცრები და უფროსები თანახმანი არიანო, ამბობენ იაპონელი გაზეთები. ტიანძინის აღება უმთავრესად იაპონელ ჯარის საქმე არისო.

≺ ჩაის ვაჭრობის მდგომარეობა: ხანკოუში ჯერ მშვიდობიანობაა, მაგრამ აქაც მოსალოდნელია არეულობა. აქედან გაგზავნილია მაიმაჩინის გზით კიახტაში რამდენიმე ნაწილი ჩაისა; 6,800 ტონნა წაიღო «დობროვოლნი ფლოტის» გემმა «დრუმგარდმა.» მიუხედავად ამისა, აქ კიდევ დარჩა რუსის ვაჭრებისაგან ნაყიდი ჩაი; ნაწილს დარჩენილი ჩაისას წაიღებს ორი გემი «ბრინბორნი» და «მოენი;» ერთი ნაწილი არეულობის დაწყებამდე გაიგზავნა ოდესისაში (8000 ტონნა). მომავალი რეისების იმედი აქ აღარ აქვთ; თუმცა შანჰაიში გადატანა უნდა მოხერხდეს, რადგანაც ადმირალ ალექსეევმა მიაქცია ამას ყურადღება.

წელს ჩაის გაყიდვა ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო. ჰფიქრობენ, რომ ჩინელმა ვაჭრებმა იცოდენ მოსალოდნელ აჯანყების ამბავი და სცდილობდენ, რაც შეიძლება ადრე გაეყიდნათ თავიანთი საქონელი. გაზიდული ჩაის რაოდენობა საკმარისია, ასე რომ ფასების მომატებას არ უნდა ველოდოთ.

≺ კულჯის კონსული იტყობინება 13 ივლისს, რომ ფოსტის უზრუნველყოფისათვის მან განკარგულება მოახდინა, რათა ჩინეთის ტერიტორიაზე ფოსტამ მხოლოდ დღისით იმოქმედოს. ოფიციალური დამოკიდებულება ჩინელებთან ჯერ ისევ კარგია. ბაზარში გაკრულია განცხადება, რომლით აკრძალულია ცუდი ხმების გავრცელება. სუიდუნის მდგომარეობა უფრო საშიშოა, ვიდრე კულჯასი.

≺ ჯერ კიდევ არ აურჩევიათ გზა პეკინისაკენ. მაგრამ სარდლების უმრავლესობა იმ აზრის არის, რომ საუკეთესო გზა მიდის შანჰაი-გუანზე, სადაც ეხლა დგას ორი იაპონელი გემი და ჯარის კაცების ერთი რაზმი. აქედან კარგი გზაა იუნგ-პინგზე და ტუნგ-ჩაოზე. შანჰაი-გუან და პეკინს შუა ტელეგრაფი მოქმედებს.

# ახალი ამბავი

◆ აღმოსავლეთის შესწავლის საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსების მიზანია, როგორც ისმის, კავკასიის განაპირა და მოსაზღვრე ადგილების შესწავლა, მრეწველობის განვითარება, სამრეწველო სკოლების დაარსება და სხვ.

◆ გუშინ, 20 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, „ტფ. ლისტოკის“ რედაქციის თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის **ილიას ზახტამის** (ილია ხონელის) სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხსენებულ გაზეთის თანამშრომლების გარდა, დაესწრნენ განსვენებულის პატივისმცემელნიც.

◆ ამ მოკლე ხანში, **გზათა მინისტრის** ბრძანებით, შესდგება რკინის გზათა სამმართველოსთან რუსეთის რკინის გზების ინსპექტორის ა. ნ. გორჩაკოვის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომელთა საშუალებით რკინის გზაზე მოსამსახურეთა ზნეობა და პრაქტიკული ცოდნა უნდა ამაღლდეს.

◆ გუშინ წინ, 19 ივლისს, საღამოს მატარებლით ჩამოსულა ტფილისში ბ. ნ. პ. პეშტიჩი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო ნაწილის გამგე.

◆ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოების რჩევამ** თავის სხდომაზე შაბათს, 18 ივლისს, განიხილა კითხვა, თუ რითი უნდა იქმნას აღნიშნული საზოგადოების 50 წლის მოქმედების იუბილეი. წარმოდგენილი იყო ორი წინადადება: დაიწეროს საზოგადოების მოქმედების ან დაწვრილებითი ისტორია ან იმავე მოქმედების მოკლე კრიტიკული განხილვა. უმრავლესობამ მეორე არჩია.

◆ იმერეთში **ვაზის მდგომარეობის შესახებ** იწერებიან: ნესტიან და ხშირ წვიმიან გაზაფხულს უნდა მოჰყოლოდა ვაზების დაავადმყოფება, მაგრამ სისტემატიურმა წამლობამ ბორდოს სითხითა და გოგირდით ძალიან შეასუსტა მილდიუ და ოლდიუმი და ზოგან კი სრულიადაც მოსპო. მხოლოდ ერთ ვაზს, იმერულ „ციცკას“, ვერ უშველა წამლობამ. ამ ვაზს საზოგადოდ ძალიან ედება ოიდიუმი. ს. ბაღდადში (ქუთ. მაზრა) ერთ გლეხის ვენახში ნახევარზე „კრახუნაა“ ჩაყრილი და ნახევარზე „ციცკა“; ორივე ვაზის პატრონი ერთნაირად წამლობს, მაგრამ ყოველ წელს „ციცკას“ მაინც ერევა ოიდიუმი, მაშინ, როდესაც „კრახუნა“ სრულიად საღი რჩება.

ქუთაისის მაზრაში ერთობ თავისებურად ამზადებენ ბორდოს სითხეს: ერთს ჩაფს წყალში ჩაჰყრიან ერთ გირვანქა შაბიამანს და ნახევარ გირვანქა გაუქრობელ კირს; ამგვარად მომზადებული სითხე მთელი დღე დგას; შემდეგ შიგ გახსნიან გოგირდის ფხვნილს, დაახლოვებით ორ გირვანქას და აი ეს არის იმერული ბორდოს სითხე.

მოსავალს საზოგადოდ კარგს მოელიან, თუ გვალვამ არ შეუშალა ხელი.

დამყნილმა ვაზებმა წელს ძალიან კარგად იხარეს. ყველაზე უკეთ ხარობს ფრანგული ვაზი Cabernete Rupestris-ზე დამყნილი. Cabernete Rupestris-ი იძლევა 70% ნახარებ ვაზს.

◆ როგორც იტყობინებიან, ტფილისის გუბერნიის სამმართველოს აღმშენებელ განყოფილებას უკვე შეუდგენია და წარმოუდგენია სათანადო მთავრობისათვის დასამტკიცებლად მდ. **წალაანის ხევის** (სოფ. გურჯაანი, სიღნაღის მაზრა) **ხიდის** გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

◆ სოფ. ავჭალიდან იტყობინებიან, რომ იმ ვაზებს, რომლებისთვისაც არ უწამლიათ, ძალიან მოსდებია მილდიუ.

◆ სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) პურის მოსავალი კარგი ყოფილა, ღვინის მოსავალსაც კარგს მოელიან. სამაგიეროდ ხეხილის საქმე უფრო ცუდადაა, რადგანაც წელს ცივი გაზაფხული იყო.

◆ როგორც ვიცით, თავის მკვლელებს სამღვდელოება არ მარხავს ჩვეულებრივი წესით; ერთ ეპარქიაში აღძრული კითხვა, შეიძლება თუ არა ქრისტიანულის წესით დამარხვა ლოთობისაგან უცბად გარდაცვალებულისა, სათანადო მთავრობის ახსნით, ამ გვარად გარდაცვალებული თავის მკვლელად არ ჩაითვლება და წესისამებრ უნდა დაიმარხოსო.

◆ კვირას, 16 ივლისს, ქუთაისის საქალაქო თეატრში გამართული იყო იაფ-ფასიანი **წარმოდგენა**. წარმოდგენილი იყო „თამარ ბატონიშვილი“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. მონაწილეობას იღებდა აქაური [illegible] მოყვარე ახალგაზრდობა.

◆ შემოდგომისათვის დანიშნულია ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების შემდეგი სესსიები: გორში—15 სექტემბრიდან 26-მდე; ახალქალაქში—2 ოქტომბრიდან 6-მდე და ახალციხეში—9 ოქტომბრიდან 13-მდე.

◆ როგორც ს. მიქელ-გაბრიელის **უფასო სამკითხველოს** ანგარიშიდან სჩანს, სამკითხველო არსებობს 1900 წლის პირველ იანვრიდან. დროებით გამგებელი ყოფილა მოსე მეგრელიძე, რომლის მოთავეობით სამკითხველოს შეუძენია საკუთარი სადგომი, უბრალო, მაგრამ სუფთად მოწყობილი. სამკითხველოს ჯერ-ჯერობით ჰყოლია 29 წევრი, რომელთაგან შემოსულა 84 მანეთი; კერძო შემოწირულება ყოფილა 216 მანეთი; წიგნები შემოუწირავთ 200 ცალი, უყიდნიათ—40. ჟურნალ-გაზეთებიდან სამკითხველოს მოსდიოდა: „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „კრებული“; რუსული—„ნივა“, „კავკაზი“ და „ჩერნომორსკი ვესტნიკი“. სულ სამკითხველოს შემოსვლია 300 მანეთი, აქედან დახარჯულა 194 მანეთი და 17 კაპეიკი, მაშასადამე დარჩენილა 105 მანეთი და 83 კაპ. დღემდის მკითხველებს გაუტანიათ და უსარგებლიათ 706 ცალი წიგნით.

სამკითხველოს წევრთა კრება დანიშნულია 23 ივლისისათვის.

◆ ოთხ აბაზიან ღერბის მარკის მაგიერ შემოღებულ იქმნება მანეთიანი.

**ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილისის საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება ა. ს. პუშკინის სახელობაზე.**

## წესდების პროექტი *)

I. საზოგადოების საგანი

§ 1. ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფ. საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას საგნად აქვს ხელი შეუწყოს თავის წევრთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას ყოველგვარ კანონიერ საშუალებით.

§ 2. ამ საგნის განხორციელებისთვის საზოგადოება: ა) აღმოუჩენს წევრთ დროებით და მუდმივ შემწეობას ფულით და მისცემს მათ სესხს; ბ) შეანახვინებს მათ შავი დღისათვის ფულს, გ) მოუძებნის უსაქმოთ დარჩენილ წევრთ

*) ვბეჭდავთ ამ პროექტს სრულად დაპირებისამებრ.

რედ.

სამუშაოს; დ) აღმოუჩენს საქმით დახმარებას ავადმყოფ წევრთ; ე) შემწეობასა და მფარველობას უწევს დაუძლურებულ მოხუცებულ წევრთ; ვ) მისცემს პენსიასა და შემწეობას წევრთა დაურდომილ ქვრივებს და ობლებსაც; ზ) ავრცელებს წევრთა შორის სასარგებლო ცოდნას როგორც საზოგადოსა, ისე სპეციალურსა გამოცემების, სახალხო კითხვების და ლექციების გამართვით, სკოლების და ბიბლიოთეკების დაარსებით და სხვა; თ) აარსებს სტამბებს და მომხმარებელ დაწესებულებათ; ი) ხელს უწყობს უკმაყოფილების მოსპობას წევრთა შორის.

II. საზოგადოების საშუალებანი

§ 3. საზოგადოების საშუალება შესდგება: ა) წევრთა შესატანიდან; ბ) შემოწირულებათაგან; გ) იმ სარგებლიდან, რომელიც ხდება საზოგადოების თანხებს და რომელიც შემოვა მესესხებელთაგან; დ) კონცერტების, ბალების, წარმოდგენების, ლექციების და სხვა ამგვარებისაგან შემოსულ ფულიდან.

§ 4. საზოგადოებას სამგვარი თანხა აქვს: 1) საქმის საწარმოებელი, 2) სათადარიგო და 3) ძირითადი.

1) საწარმოებელი თანხის შესადგენად გადაიდება: ა) 80% საწევრო ყოველთვიურ შემოსატანიდან; ბ) იმ ფულიდან, რომელსაც ყოველ წლივ გადასდებს საზოგადო კრება საზოგადოების მოგებიდან. საწარმოებელ თანხიდან გაიცემა სესხი და შემწეობა. გადაიდება მომხმარებელ დაწესებულებათა დასაარსებლად და დაიფარება მიმდინარე ხარჯები. 2) სათადარიგო თანხის შესადგენად გადაიდება: ა) 50% ნამდვილ წევრთა ერთბაშად შემოსატან ფულიდან; ბ) იმ ფულიდან, რომელსაც ყოველ წლივ გადასდებს საზოგადო კრება საზოგადოების მოგების ჯამიდან. ეს თანხა მოხმარდება ზარალის დასაფარავად და აგრეთვე საწარმოებელ თანხის გასაძლიერებლად, თუ საზოგადო კრება მოისურვებს; 3) ძირითადი თანხის შესადგენად გადაიდება: ა) ნამდვილ წევრთა ერთბაშად შემოსატან 50% და ყოველთვიურ შემოსატანის 20%; ბ) დამხმარებელ და საპატიო წევრთა შემოტანილი ფული; გ) შემთხვევითი შემოსავალი და აგრეთვე ფული, რომელსაც საზოგადო კრება გადასდებს ყოველ წლივ საზოგადო მოგებიდან. ძირითადი თანხა შეადგენს ხელუხლებელ ფონდს, რომლის სარგებლიდან დაინიშნება პენსიები.

III. საზოგადოების წევრნი

§ 5. საზოგადოება შესდგება: 1) ნამდვილ წევრთაგან, 2) დამხმარებელ წევრთაგან და 3) საპატიო წევრთაგან. 1) ნამდვილ წევრებად ითვლებიან: ასოთ-ამწყობები, გრავიორები, ლიტოგრაფები, ასოების ჩამომსხმელნი, მაშინისტები, მბეჭდავები, მკაზმავები და, საზოგადოდ, სტამბებში, ლითოგრაფიებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში მომუშავენი. 2) დამხმარებელ წევრებად ითვლებიან ის პირნი, რომელნიც ერთბაშად შეიტანენ საზოგადოების კასსაში 100 მანეთს ან ყოველ წლივ 25 მანეთს და აგრეთვე, რომელნიც რაიმე საქმეს უსრულებენ საზოგადოებას (ექიმები, ფერშლები და სხვა). 3) საპატიო წევრებად ჩაითვლებიან: ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები და სტამბების პატრონები, რომელნიც შეიტანენ საზოგადოების კასსაში საკმაო უხვ შემოწირულებას; პირნი, რომელთაც რაიმე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ასოთ-ამწყობთა საზოგადოების წინაშე და აგრეთვე პირნი, რომელნიც შესწირავენ საზოგადოებას არა ნაკლებ 300 მანეთისა.

IV. წევრთა მოვალეობა და უფლება

§ 6. ნამდვილი წევრნი სარგებლობენ ყველა იმით, რასაც საზოგადოება მოაწყობს და გააკეთებს თავის კეთილდღეობისათვის წესდების თანახმად. საპატიო და დამხმარებელ წევრთ მიენიჭებათ თათბირის ნება საზოგადო კრებებზე.

§ 7. ნამდვილი წევრი მოვალეა შეიტანოს საზოგადოების კასსაში: ა) ერთბაშად, საზოგადოებაში ჩარიცხვისთანავე, 6% ყოველთვიურ ჯამაგირისა ან თვიურ ხელფასისა და ბ) ყოველთვიურად—3%. 4/5 ყოველთვიურ გადასახადისა ითვლება წევრის კუთვნილებად და უბრუნდება მას საზოგადოებიდან გამოსვლისათანავე, თუ პენსიას არ იღებდა; ხოლო 1/5 თვიური გადასახადისა და ერთბაშად შემოტანილი ფული საზოგადოებაში ჩარიცხვის დროს რჩებიან საზოგადოების საკუთრებად.

§ 8. იმ ფულიდან, რომელიც უბრუნდება საზოგადოებიდან გამსვლელ წევრს (§ 7), საზოგადოება იჭერს ყველა გარდასახადს, რომელიც საზოგადოებას ერგება მისგან, როგორც პირად პირად მის ვალს, ისე მის თავდებობით გაცემულს. თავდებობის გამო დაჭერილი ფული დაუბრუნდება გასულ წევრს, როდესაც სესხის აღმები დაუბრუნებს ფულს საზოგადოებას.

§ 9. თუ საზოგადოებიდან გამსვლელი წევრი სრული სამი წელიწადი არ ყოფილა წევრად, დასაბრუნებელ ფულებიდან გამოერიცხება ყველა ის ფული, რომელიც მას შემწეობად მიეცა.

§ 10. ნამდვილ წევრის გარდაცვალების შემდეგ, თუ მას პენსია არ ჰქონდა საზოგადოებისაგან, მის სახელზე საზოგადოების კასსაში დარჩენილი ფულები მოიხმარება გარდაცვალებულის დაწერილ ანდერძის თანახმად. თუ ანდერძი არ იქმნა, მაშინ ხსენებული ფული, ხუთი ნამდვილი წევრის მოწმობით, მიეცემა მის ცოლს ან შვილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა გადაეცემა კანონიერ მემკვიდრეებს იმ პირობებით, როგორც საზოგადოებიდან გამსვლელ წევრებს.

§ 11. ნამდვილ წევრს, რომელსაც გაიწვევენ ჯარის კაცად, თუმცა სამსახურის დროს საზოგადოების წევრად არ ითვლება, შემდეგ შეუძლია ხელ-ახლა გახდეს ნამდვილი წევრი. ამ შემთხვევაში მას ერთდროებითი გარდასახადი (6%) არ გამოერთმევა.

§ 12. თუ ნამდვილი წევრი, საზოგადოებიდან თავის ნებით გასული, ისევ მოისურვებს წევრობას, იგი მიღებულ უნდა იქმნას, როგორც სრულიად ახალი წევრი.

§ 13. საზოგადოების წევრნი ვალდებულნი არიან შეიტანონ საწევრო ფული ყოველთვე 1-ლ რიცხვიდან 15-მდე.

§ 14. წევრი გამოირიცხება საზოგადოებიდან საზოგადო კრების დადგენილებით: უდროოდ საწევრო ფულის უწეს-რიგო გადახდისათვის, ვალის გადაუხდელობისათვის და სასამართლოსაგან უფლებათა ჩამორთმევისათვის. გარდა ამისა, წევრი გამოირიცხება გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტის წარდგენით ან 10 წევრის განცხადებით, თუ ამას შეიწყნარებს საზოგადო კრებაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედი.

§ 15. ვინც საზოგადოების წევრად 25 წელიწადი იქნება, ის განთავისუფლებულ იქნება საწევრო გადასახადისაგან.

(შემდეგი იქნება)

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 ივლისს

| | მყიდველები. | გამყიდველები | გარიგებით. |
|---|---|---|---|
| | ფ ა | ს ი | ო ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 97¼ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100 | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 318½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 270½ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208 |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | 89½ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | 99½ | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

### ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ზურგალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
ბური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯგ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხ. | | ხარისხ. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1 ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11**

ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3ბ-ა** ქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

**მატარებელი № 7** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

**სახალხო მატარებელი № 33** რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

**საავგარაკო მატარებელი № 15** ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

**საავგარაკო მატარებელი № 16** მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

**საავგარაკო მატარებელი № 18** გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 57** შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 58** ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 59** შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 60** ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი სღამ. 1 ს.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით მიმდინარე წლის 24 ივლისს, დილის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა შემდეგ საგნებზედ: საჭიროა ალექსანდრევის ბაღის ღობის განახლება (ქვის კედლების და სამირკველის შეკეთება), კოლონნების დადგმა, რკინის ხრახნილების რკინისავე ულებით დაკავშირება და მოაჯირების შეღებვა—სულ 3000 მანეთის საქმე.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე (ნ. 3—3)

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.